ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4991046

ნომერი: AR1753961

თარიღი : 13.06.2020

გაცემის თარიღი : 22.06.2020

გაცნობის თარიღი : 23.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე მარჯანიშვილი , N 33 /მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა N90გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ კვინიკაძე პ/ნ 01007001923
- თბილისი ირ.ევდოშვილის ქ. N 2/10 კორ. 8 ბ. 35

ორგანიზაცია:
- კაპტო დიზაინი კოდი: 202450276

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „იმპექსფარმი“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204927909
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით კოხრეიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01012016848

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კარლო მშვიდობაძე

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, კ. მარჯანიშვილის ქ. N33/მ. წინამძღვრიშვილის ქ. N90გ-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების (სარეკლამო აბრების მოწყობა) წარმოდგენილი პროექტი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N21; 18.06.2020 წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. რეკომენდაცია: სარეკლამო აბრა განთავსდეს მოცულობითი ასოებით ფონის გარეშე. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქალაქე ვ. კვინიკაძეს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, კ. მარჯანიშვილის ქ. N33/მ. წინამძღვრიშვილის ქ. N90გ-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების (სარეკლამო აბრების მოწყობა) წარმოდგენილი პროექტის შეთანხმებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.